სახალხო გაზეთი

№ 522 შაბათი, 11 თებერვალი 1912 წ. № 522

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ტელეფონი № 12-29.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ÍსურათებიანÍ დამატებაÍ

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

I თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა, თავ. გიორგი და კონსტანტინე მიხეილის ძენი თუმანიშვილები გულითადს მადლობას უძღვნიან საზოგადო დაწესებულებებს და ყველას, ვინც პირადად, ან წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადა მათი დაუვიწყარი ძმის **ვასილ მიხეილის ძის თუმანიშვილის** გარდაცვალების გამო. (1 238—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

დღეს, 11 თებერვალს,

გრიგოლ ამაღლობელი

წაიკითხავს ქართულ ენაზე **ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიურის** თვალსაზრისით **ლექციას** შემდეგ თემაზე:

„ტრაგედია შემოქმედებისა“, (ლ. ანდრეევი).

ლექცია შესდგება სამი ნაწილისაგან. **დასაწყ. საღ.** 8½ ს. (2.237.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში

შაბათს, 11 თებერვალს,

ი. ფ. პალმოვი

წაიკითხავს **ლექციას:**

„დედაკაცის როლი კაცობრიობის ისტორიაში“.

დასაწყ. საღ. 8 ს. ფასები ხუთ-შაურიდან ათ-შაურამდე. (1—1065—1)

ახალი კლუბი

სამშაბათს, 13 თებერვალს,

პირველი სიმფონიური კრება

სოლისტი-მესკრიპკე **კ. ვრუირის** მონაწილეობით, **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით: 1) **მეხუთე სიმფონია—ბეთჰოვენისა.** 2) უვერ. ქირონდისტები—ლიტოლფისა. 3) YALSE TRISE—სიბელიუსისა. 4) კონცერტი სკრიპკისათვის—ბუხისა. 5) **ალჟირელი სიუიტა** სენსანსისა.

ადგილ. ფასი თეატრში 1 მ. 50 კ. 30 კ.-მდე, ქანდარაზე 40—10 კ.-დე. განსაკუთრებით მოსწავლეთათვის. სტუმრ. კლუბში შესასვლელად იხდ.: კაცი 1 მ., ქალი და სტ. 25 კ. (3.1068.1)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.19)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“.

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.4)

ექიმი ა. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.42).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—87)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი სნეულებანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულხკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1040—266)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 232)

გამოცდილმა მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.85)

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე. კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“

(წლ. 1090 269)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 102)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 72).

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—41).

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—95).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით **9**-დან **2**-მდის და საღ. **4**-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50—1552—36)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—22)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემია-ში“ ცნობილი მენშიკოვი მანჯურიის შემოერთებას მოითხოვს.

„არსებითად მანჯურია კი არ ეკუთვნოდა ჩინეთს, არამედ ჩინეთი მანჯურიას და თუ ეხლა ჩინეთმა თავი გაინთავისუფლა მანჯურიის უღლისაგან, ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ამით მას უფლება მოეპოვებინოს მანჯურიაზე.

იაპონიასთან უბედურ ომის შემდეგ ჩვენ ისე დავფრთხით, რომ ლამის უარი ვსთქვათ პირველხარისხის სახელმწიფოს პოლიტიკაზეო—სწერს მენშიკოვი.

იგი აღშფოთებულია რუსეთის დიპლომატიის მოქმედებით, რომელიც, მისის აზრით, მოკლებულია იმ „კეთილშობილურ გულადობას, რომელიც ქალაქებს იპყრობს“.

დაიბადება თუ არა საჭიროება აზიაში ჩვენი ინტერესების დაცვისა, იმ წამსვე მოგესმის დამფრთხალთა ხმები: აჰ, კიდევ აღმოსავლეთის ავანტიურა. განა ცოტა გვქონდა იაპონელებმა მანჯურიაშიო“.

მენშიკოვი მთავრობას ურჩევს, ყურს ნუ უგდებთ ამ ლაჩართა სასომიხდილს ხმებსო.

⁂

„კოლოკოლმა“ უკვე დაიწყო საარჩევნო აგიტაცია. იგი სამღვდელოებას ურჩევს ნაციონალისტებს შეუერთდნენ და მათთან ერთად იმოქმედონ არჩევნების დროს. გაზეთი სხვათა შორის სწერს:

„სამღვდელოება უნდა შეერთდეს, როგორც განსაკუთრებული წოდება და თავისი ხმა იმ პარტიებს უნდა მისცეს, რომელნიც ისტორიულ სახელმწიფოებრივ დებულებებზე ემყარებიან და სამღვდელოების ინტერესების წინააღმდეგ არ მოქმედებენო“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი** 9 თებერვალს პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **ტფილისში გარდაიცვალა** 8 თებერვალს დედათა მესამე გიმნაზიის დამსახურებული მასწავლებელი ი. ი. პლამენევსკი, რომელმაც ტფილისში ვაჟთა საკვირაო სკოლები მოაწყო.

◆ **კავკასიელთა საჩივარი.** თერგის ოლქის სოფ. ძველ-სუნჯანის მცხოვრებთ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ევგ. გეგეჭკორისთვის თხოვნა გაუგზავნიათ. მცხოვრებნი სწერენ, 16 ოქტომბერს გროზნიდან ჯარი მოვიდა და ვითომ და ზელიმხანის დაფარვისათვის დაგვარბია და აგვაოხრაო. ხალხი ამოხოცეს და სახლები დაგვიწვეს, თუმცა ჩვენს სოფელში ვერავითარი ზელიმხანი ვერ აღმოაჩინესო. ამასთანავე ბრალსა გვდებენ, ვითომც პირველად ჩვენ გვესროლოს მოსულ ჯარისთვის მაშინ, როდესაც არავის იარაღი არა გვქონდაო. სარალი ექვსას თუმნამდე მოგვაყენეს და ამ ჟამად სხვის ეზოებსა და სახლებში ვაფარებთ თავსა, როგორც მათხოვრებიო. დასასრულ სწერენ, თქვენის სახელით მივმართავთ სახელმწიფო სათათბიროს და რუსეთის საუკეთესო შვილებს, რათა დაგვიფარონ და ახალი გამოძიება დანიშნონო.

◆ **ტფილისში გარდაიცვალა** აღმოსავლეთ ენების მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის სომხურ სიტყვიერების **პროფესორი გ. ა. ხალათიანი.**

◆ **ხორცისა და პურის ვაჭრობის თაობაზე** 8 თებერვალს ქალაქის გამგეობის სადგომში თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავჯდომარეობით საგანგებო თათბირი მოხდა. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის წევრებმა, პოლიცმეისტერმა ფ. ა. ზასიპკინმა და ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ყველა აგენტმა. თათბირმა საჭიროდ იცნო: 1) ხორცის ნიხრი არ გააუქმოს, 2) ძროხის ხორცზე, 13 კაპ. ნაცვლად 14 კაპ. დააწესოს, ხოლო კამეჩის ხორცზე—8 კაპ. ნაცვლად 9 კაპ., 3) დაევალოს ქალაქის სალახის ადმინისტრაციას, არ გაუშვას დასაკლავად გამხდარი საქონელი და 4) დაევალოს სამეურნეო კომისიას, შეიმუშაოს ზომები ხარისხებად ხორცის დაყოფისა.

◆ **ლექცია.** გ. ამაღლობელი ქართულს თეატრში ორს ლექციას წაიკითხავს: 11 თებერვალს „ტრაგედია შემოქმედებისა“ (ლ. ანდრეევი) და კვირას, 12 თებერვალს—„ა. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის პოეზიის უმთავრესი ლეიტ-მოტივები“. დასაწყისი ორივე ლექციისა საღამოს 8½ საათზე.

◆ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში (ბირჟის დარბაზში) დ. კ. ჰეპშტეინი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „განცალკევებით ცხოვრება ცოლ-ქმართა ჩვენის კანონმდებლობით“ (პროექტი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროშია წარდგენილი). რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება. დასასრულ კლუბის წევრთა წლიური კრება მოხდება წარსული წლის ანგარიშისა და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და მამასახლისთა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად.

◆ **ლექცია.** 12 თებერვალს, დილის 10 ნახ. საათზე, სახალხო სახლში **მოსე ჯანაშვილი ქართულად ლექციას წაიკითხავს:** „საზოგადო განხილვა ქართულ მწერლობისა 1800 წლამდე. ლექციის პროგრამა შემდეგია: 1) მწერლობის დასაწყისი, 2) პირველი მთარგმნელები და მწერლები, 3) მწერლობის აყვავება მე-9-10 საუკუნის მონასტრებში, 4) აყვავება ქართულ მწერლობისა, 5) ქართ. მწერლობის უნუგეშო მდგომარეობა მონგოლების შემოსევის გამო. 6) აღორძინების ხანა. 7) წიგნის ბეჭდვა. 8) ამ ხანის წარმომადგენელნი.

◆ როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, **ზუგდიდის პოლიციას** სროლა აუტეხია კატორღიდან გამოქცეულ შულგაიასთვის, რომელიც შიშის ზარსა სცემდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. სროლის დროს მოუკლავთ შულგაია და ერთი დარაჯი.

◆ გუშინ ჩვენს რედაქციაში მოიყვანა ცნობილმა ფალავანმა ნესტორ ესებუამ **ექვსი წლის ბავშვი ვალოდია ზუბრიცკი,** რომლის გასაოცარმა ნიჭმა და მეხსიერებამ განცვიფრებაში მოგვიყვანა. ბავშვს გასამრავლებლად მივეცით 4 ციფრიანი რიცხვი 4 ციფრიანზე და მან 12 წუთის განმავლობაში ზეპირად გაამრავლა იგი. დაწვრილებით ხვალ.

◆ 1912 წელს თებერვლის 4 სადგურ შაგალზე ვერაგულად დასჭრეს დისების სასწავლებლის ზედამხედველი **კოლა ციკუბაძე,** რომელიც ხუთი დღის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში.

◆ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, მინისტრთა საბჭომ მოიწონა საუწყებათა შორისო თათბირის დადგენილება **ახალი უმაღლეს სასწავლებელთა** დაარსებისა და არსებულთა გაფართოვებისა. ფიქრობენ პირველად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაარსონ ვორონეჟში, სამთო ინსტიტუტი ეკატერინბურგში და მედიკური-ფაკულტეტი დონის-როსტოვში.

✦ **ტფილისის უნივერსიტეტი.** როგორც ეტყობა, ტფილისის უნივერსიტეტის გახსნას ჯერ-ჯერობით არა ეშველებარა. დეპეშათა სააგენტომ გუშინ ამის დამამტკიცებელი ცნობა მოიტანა: მინისტრთა საბჭოს მსჯელობა ჰქონია რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვის გადიდების შესახებ და ტფილისში საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტის გახსნის საკითხსაც შეხებია. მინისტრთა საბჭოს ამ საკითხის განხილვა კავკასიის ნამესტნიკის ჩასვლამდე გადაუდვია და ამასთანავე საჭიროდ უცვნია, რომ კავკასიას ესაჭიროება ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც საპრაქტიკო ცოდნას გაავრცელებს და არა განყენებულსაო.

✦ **„მოსავალი“** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“-ს მეორე ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) სანატრელი ქვეყანა (გარვუდის თხზულებიდან) ვ. რცხილაძისა, 2) მერძეობის საერთაშორისო კონგრესი. დ. ღ-ძისა, 3) კვება და საკვებავები (თარგმანი)—პროფ. გენრისა და 4) ევროპის ბაზარი—„მოსავალი“-ს წარმომადგენელისა. ჟურნალში მოთავსებულია სხვა და სხვა გამოსადეგი ცნობა და დარიგება.

✦ **ჟენევის ქართველთა** ეროვნულმა წრემ 18 იანვარს (ძვ. სტ.) იდღესასწაულა **თამარ დედოფლის** სიკვდილის 700 წლის თავი. ამ დიდებულ ადამიანის მოგონების დღეს წრემ გამოიტანა სამი რეზოლუცია, რომელიც მოგვყავს: ა) ქართველთა ეროვნული წრე, შეკრებილი ქალაქ ჟენევაში დიდებულ მამულიშვილის თამარის გადაცვალების 700 წლის თავზე, მამულიშვილურის პატივისცემით და მოწიწებით იხსენიებს დიდებულ თამარს, რომლის სახე ასეთი სათნოებით და სიყვარულით აღბეჭდილა ქართველ ერის ხსოვნაში.. ბ) ქართველთა ეროვნული წრე, შეკრებილი დიდებულ მამულიშვილის თამარის გადაცვალების 700 წლის თავზე, იწვევს ქართველ ერს გულმოდგინედ შეუდგეს თავის წარსულის შესწავლას, რადგან ვისაც წარსული არ შეუგნია და ღირსეულად ვერ აფასებს მას, ის ვერც შესძლებს თვალხილულად აწმყოში გზა გაიკვლიოს, ღირსეულად ემსახუროს თავის სამშობლოს და მისი მომავლისთვის შეგნებულად იმოღვაწოს. გ) ქართველთა ეროვნული წრე, შეკრებილი დიდებულ მამულიშვილის თამარის გადაცვალების 700 წლის თავზე, იწვევს ყოველ ქართველს რათა ჯეროვანის შეგნებით მოეპყროს დიდებულ წარსულის კულტურულ ნაშთა დაცვას, რომელთა შემუსვრას დ გაოხრებას გულმოდგინეთ ეწევიან ქართველ ერის აოხრების მტერნი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქის თვითმართველობას სთხოვა, გამოუგზავნოს ინსტრუქციები **სახალხო ჯანმრთელობის** კომისიებისა.

✦ **ინგლისელმა კაპიტალისტებმა,** როგორც მკითხველებმა იციან, მაიკოპში დიდძალი ფული ჩაჰყარეს და ბოლოს იზარალეს. ამის გამო, როგორც გადმოგვცეს, ისინი დიდის სიფრთხილით უცქერიან კავკასიაში სხვა ახალ საქმის დაწყებას და ისეთ საქმეებისთვის დაუნებებიათ უკვე თავი, რომლის წინასწარი მუშაობაც უკვე დაწყებული ჰქონდათ.

✦ **ქართული სახალხო კითხვა** 12 თებერვალს გაიმართება 11 საათზე კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში. წაიკითხავს ყმაწვილთათვის ქ-ნი ავალიანისა „ბიძია თომას ქოხს“. ბავშვების მიყვანა არ შეიძლება.

✦ **ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს,** რომელიც პეტერბურგშია, ტფილისში 19 თებერვალს მოელიან. როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას ბევრი საკითხი აქვს ამ ჟამად შეჩერებული და მოურავის ჩამოსვლას უცდის.

✦ **დაპატიმრება.** დამცველ განყოფილების განკარგულებით 9 თებერვალს ღამით ავლაბრის საქალაქო აგარაკის „სტრაჟნიკები“ შეიპყრეს. მიზეზი არ იციან.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** როგორც მკითხველებმა იციან, რამდენიმე ფირმამ ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, ქუჩებს მოვკირწყლავთ და ფულს ნაწილ-ნაწილად გადაგვახდევინებთო. რადგანაც ქალაქის გამგეობას დღემდე ამ ფირმებისთვის არავითარი პასუხი არ მიუცია, ამიტომ მათ განუზრახავთ, თავიანთი წინადადებანი უკან წაიღონ და ქალაქთან ყოველგვარი მოლაპარაკება შესწყვიტონ.

✦ **ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი** სეზონის დასრულების გამო ამხანაგობის შედგენას აპირობენ. დიდ-მარხვაში წარმოდგენებს ქართულს თეატრში გამართავენ.

✦ 14 თებერვალს საზოგადო კლუბში (ბირჟის დარბაზი) **საღამო-მეჯლისი** გაიმართება. ს. კაკაბაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „თამარ მეფე, როგორც სიმბოლო ქართველ ერის ძლიერებისა“. შემდეგ წაიკითხავენ „მრუდე სარკე“-ს (თანამედროვე ქართველ მწერლებზე), შარჟს პ. ირეთლისას. ქართველი მწერლები თავიანთ ნაწერებს წაიკითხავენ. დაუკრავენ თარსა, ჭიანურსა, ფანდურსა და სტვირსა. დასასრულ ცეკვა გაიმართება.

✦ 9 თებერვალს ფორკოპელის ქუჩაზე იპოვეს 2 წლის ბავშვი (ქალი), ავადმყოფი, ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე იპოვეს მდედრობითის სქესის ბავშვი, დაახლოებით ექვსის დღისა. ბავშვები ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** კრება 27 თებერვალს მოხდება საზოგადოებისა და საბაღოსნო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

✦ **ქალაქის საელექტრონო სადგურის მომწყობ კომისის** კრება დღეს, საღამოს 8 საათზე, მოხდება ქალაქის გამგეობის შენობაში თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავჯდომარეობით.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებაზე** 9 თებერვალს დაადგინეს კახეთში მომუშავე აგრონომის დასახმარებლად მოიწვიონ თანაშემწე თვეში 50 მანეთად. საბჭოს **მდივანს** დაუნიშნონ თვეში 125 მანეთი, და გამოსცეს თავის საკუთარი **სამეურნეო ჟურნალი** და ამისთვის წრევანდელ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 1500 მანეთი. როგორც კრებაზე გამოირკვა **მანთაშევის** მემკვიდრეებს ამ საზოგადოებისთვის 500 მანეთი შეუწირავთ და ფული უკვე ჩაუბარებიათ და არა 1000 მანეთი, როგორც სწერდნენ გაზეთებში. მთელი **ხარჯ-აღრიცხვის** დასაფარავად ამ საზოგადოებას სჭირდება 19.600 მანეთი. ამისთვის საბჭო სთხოვს საზოგადოების წევრებს ნუღარ დახანებენ და წრევანდელი საწევრო ფული ჩქარა გადიხადონ.

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** კრება 13 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მოხდება. კრება მოისმენს ე. თაყაიშვილის მოხსენებას შემდეგს თემაზე: „რას წარმოადგენდა ეგრედ წოდებული აფხაზეთის ისტორია“, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს.

სასამართლო

✦ **გიმნაზიელ ვართან არუწოვის გატაცების საქმის გარჩევას** კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლო 9 თებერვალს შეუდგა. სამართალში მიცემულნი არიან: დათიკო გოგოლაძე, დათა ბეჟიტაშვილი, გიგა გოგიჩაშვილი და სერგო ხაჩიძე. ბრალდებათ: 1910-1911 წლებში ბრბოს შედგენა ამ სახელით: ბრძოლა, ანარქისტ-კომუნისტთა ჯგუფი“ რომელსაც მიზნად ჰქონდა მდიდართა გატაცება გმოსასყიდ ფულის მისაღებად. დათიკო გოგოლაძეს ბრალდება ისიც, რომ 1911 წლის 9 აპრილს სხვებთან ერთად, რომელნიც ვერ იპოვეს, იარაღით თავს დაეცა ხაშურში იოსებ (ცუცუნია) არუწოვის სახლს და მისი შვილი გიმნაზიელი ვართანი მოიტაცა. გიმნაზიელი ორს კვირას იყო დატყვევებული და შემდეგ ყაჩაღებს მთებში წაართვეს „სტრაჟნიკებმა“ საბრალდებლო ოქმის ცნობით, დატყვევებულის მამას ყაჩაღებთან მოლაპარაკება ჰქონდა თავის მოჯამაგირის დავით გოგოლაძის საშუალებით, რომელსაც ამ საქმეში სამსახურს უწევდა ბეჟიტაშვილი. უკანასკნელმა ხელი დაადო გოგიჩაიშვილს, როგორც ყაჩაღების ამხანაგს. გამოძიებამ გამოარკვია, რომ არუწოვის გამტაცებელ ყაჩაღებს საქმელს ხაჩიძე უზიდავდა. ყაჩაღთა ბრბოს მეთაურად ყოფილა ცნობილი ყაჩაღი და ტერორისტი „ლადო“; საქმის გარჩევა ორს სამს დღეს გასტანს. ბრალდებულებს იცავენ: ნაფ. ვექილი ვლ. რუტკოვსკი, ნაფ. ვექილის თანაშემწე შ. ალექსი-მესხიშვილი და სხვანი.

✦ **ღვთის გმობა.** 9 თებერვალს ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე „კურიერ-კავკაზა“-ს რედაქტორის გრიგოლ ტერ-ნერსესოვისა და ამავ გაზეთის თანამშრომლის ვასილ ალიბაშევისა, რომელთაც გაზეთში დაბეჭდილ წერილით ღვთის გმობა ბრალდებოდათ. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივენი და ორ-ორის კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

✦ **სალიტერატურო საქმე.** 27 თებერვალს ტფ. ოლქის სასამართლო გაარჩევს „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის რედაქტორის თავ. გ. ი. ფილავანდიშვილის **სამს საქმეს.** ერთს საქმეზე სასამართლოში მიცემულია სისხლის სამართლის მე-1033 მუხლისა, მეორეზე—1034 მუხლისა და მესამეზე—1038 მუხლის ძალით.

✦ **უბედურება ციციანთ დაღმართზე.** 9 თებერვალს ოლქის სასამართლომ გაარჩია ტრამვაის ვატმან პავლე სიმბირცევის საქმე. ბრალდებოდა გაუფრთხილებლობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა უბედურება ციციანთ დაღმართზე. სასამართლომ სიმბირცევი დამნაშავედ იცნო და ოთხის თვის ციხე მიუსაჯა.

ქუთაისი.

✦ 9 თებერვალს ქუთაისში ჩამოვიდნენ **დ. ახალ-სენაკის რწმუნებულნი:** ბ. ბ. პეტრე დგებუაძე, და დავით ფრენკელი. ამათ საზოგადოების დავალებით ინახულეს ქუთაისის საურთიერ. საზ. ნდობის თავმჯდომარე ბ. რ. დათეშიძე. დათეშიძემ რწმუნებულნი გააცნო, როგორ უნდა მოეწყოს პირველ ხანად ბანკის საქმე და აღუთქვა დახმარება. ახალ-სენაკში საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსებას ფიქრობენ. 10,000 მანეთი ამ საქმისათვის უკვე მოგროვილი აქვთ და წესდებაც, დამტკიცებული ფინანსთა მინისტრისაგან.

✦ 2 თებერვალს საზოგადო კრებამ **დ. აბაშის ახლად დაარსებულ კოოპერატიულ საზოგადოების** „ანგარიში“ გამგეობაში აირჩია: ქ-ნი ბაბილინა იოსელიანი (მასწავლებელი), მელიტონ გაბილაია, ათანასე მამინოშვილი, ვასილ ცომაია და სპირიდონ ჩოჩია.

✦ **კრება.** 26 თებერვალს ქუთაისში დანიშნულია **ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ბანკის წლიური კრება.** ბანკი ახალი დაარსებულია, და ამბობენ მისი საქმეები კარგად მიდისო. კრებაზე გამოირკვევა ყველაფერი დანამდვილებით.

✦ **ქუთაისის საკრებულო ტაძრის** გალავნის სამშენებლო კომიტეტი 22 თებერვალს იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში გალავნის აშენების საქმეს იჯარით გასცემს. მოიჯარადრეთაგან თხოულობენ 500 მანეთს საწინდარს. („ცხოვრება“).

ბაქო.

✦ **მილიონერ ტაგიევის საქმე** 6 მარტს გაირჩევა ხალხის თანადასწრებით. სასამართლოს დარბაზში შესასვლელი ბილეთები უკვე დაიტაცეს. ტაგიევს თავის მოურავის თავ. ბებუთოვის წამება ბრალდება.

✦ **ქალაქის მოურავის** თანამდებობაზე მოსკოველ საზოგადო მოღვაწის შიპოვის კანდიდატურასაც ასახელებენ.

✦ მინისტრთა საბჭომ ნება დაჰრთო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ბაქოს **სახაზინო ნავთიან ადგილების** მოიჯარადრეთ ზოგიერთი შეღავათი მისცეს.

კიდევ თამარის იუბილეისთვის

(წერილი მამულის დედებს).

სრულდება ის, რაც მოსალოდნელი იყო: თამარ მეფის გარდაცვალების შვიდასი წლის თავიც ისე გაივლის, ისე აღუნიშნელად, შეუმჩნევლად და ხმის ამოუღებლად, როგორც მრავალი რამ მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში დიადი და საგულისხმიერო და ჩვენ კი ყურადღებაც არ მიგვიქცევია, არც დაგვინახავს, არც გვიგრძვნია. ძნელია, ამას გადააჭარბოს რომელიმე ერის თავის თავის უპატივცემულობამ და შეუგნებლობამ!

სულ უბრალო და უმნიშვნელო რამეზე ავპილპილდებით ქართველები, მთელს აურზაურს ავსტეხავთ, როდესაც არაფრის თქმა არაა საჭირ.—გაიხსენეთ თუნდ რა ყვირილს დაიწყებს ხოლმე ჩვენი თავად-აზნაურობა რომელიმე [illegible] შეუსრულებლობისათვის, რა ზეიმს გამართავს. ჩვენებური ინტელიგენცია, როცა ვინმე რუსის ლიბერალი ორიოდე სიტყვას გადმოისვრის საქართველოს სასარგებლოდ. ხოლო როცა საჭიროა გამოჩენა ღრმა ეროვნული გრძნობისა, შეგნებისა და საქმიანობისა, მაშინ ყველანი სოროებში მივიმალებით, და სამართლიანად გვეტყვიან:

„თვალ ასხენ და არა ჰხედვენ,
ყურ ასხენ და არა ყურად იღებენ“.

სხვა ერი, ერი, რომელიც აღიარებს თავის პიროვნებას, რამდენიმე წლით ადრე შეუდგებოდა მზადებას ისეთი დიდებული დღის აღსანიშნავად, როგორიცაა თამარ-მეფის შვიდასი წლის იუბილე. ჩვენ კი მხოლოდ მიწურულში მოვიგონეთ ეს შესანიშნავი საერო ამბავი და ვერ მოგვიხერხებია, რომ ამ ორიოდე თვეს, რომელიც ჩვენს ხელთ არის, მცირე რამ მაინც გავმართოთ, სრულს დავიწყებას არ მივსცეთ სამარადისოდ სახსენებელი სახელი და მთლად არ შევირცხვინოთ თავი წინაშე სახელოვან წინაპართა და წინაშე ქვეყნისა.

განა თამარის დრო და მისი ღვთიური სახე ძალდატანებით უნდა გაცხოველდეს დღევანდელი ქართველისთვის და არა მზეებრ ბრწყინავდეს და ცათა ქუხილივით სჭექდეს? რა უნდა მოვიგონოთ ჩვენის მუდამ მწარე, წამებულის წარსულიდან, თუ არა ის დრო, როდესაც ჩვენმა ერმა მოიპოვა არა თუ გარეგანი სიძლიერე, არამედ უმეტესად სულიერი ძალა და წარმოშობა გენიოსები, როდესაც ჩვენ გამოვედით საკაცობრიო ასპარეზზე და ჩვენი ცხოვრება იწერებოდა მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე? განა საკმარისი არაა ამისთვის მარტოოდენ გადავშალოთ ჩვენი მატიანე, რომელიც არის დაუსრულებელი, მაღალი პოეტიური ჰიმნი თამარის მოღვაწეობისა და მისი თანამედროვეთა? განა ამაოდ მოუწოდებდა **ჩახრუხაძე:**

„მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა, დიონოსისგან, ვით ენისსისგან სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა“? და ცრუ იყო **შოთა,** ეს უდიდესი გამომხატველი ჩვენის შემოქმედებისა, როცა იტყოდა: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული“? განა ტყუილად უწოდეს მას სახელი ღვთის სწორისა მისმა მხილველთა? განა „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შე-

კრიტიკული შენიშვნები

(შემდეგი)

„სამკალი ფრიად არს, ხოლო მომკელი მცირედო“ ამბობს სახარება და ეს სიტყვები სწორედ ჩვენს მწერლებზეა გამოჭრილი: რამდენი დაუმუშავებელი მასალა მოიპოვება ჩვენის ცხოვრებიდან, რამდენი სრულიად ხელშეუხებელი ნაწილი ჩვენი ცხოვრებისა მოელის მომკალს, მაგრამ იგი არსად სჩანს.

დღემდის ჩვენს მწერლობაში უმეტეს ნაწილად სოფლის აღწერას თუ შევხვდებით ისევ, თორემ ჯერ ჩვენი მწერლობა ქართველ ინტელიგენტთა ცხოვრებას სრულიად არ შეჰხებია. თვით სოფლის აღწერაშიაც ჩვენი მწერლები საქმის გარეშე მხარეს გადმოგვცემენ და ძლიერ იშვიათად შევხვდებით ისეთ მოთხრობას, სადაც ჩვენი გლეხის სულიერი ვითარება, მისი სიხარული, თუ კვნესა-ვაება, საერთოდ მისი განსაკუთრებითი სულიერი სახე სავსებით იყოს გადმოცემული.

ჩვენს ინტელიგენტთა ცხოვრებას ხომ სრულებით არ შეჰხებია, როგორც ვსთქვი, ჩვენი მწერლობა. მერე რა მდიდარი, რა დაუშრეტელი მასალაა იგი სხვა და სხვა დარგის ხელოვნურ ნაწარმოებთათვის; რა ძვირფასი, მუდამ მიმზიდველის, მუდამ ნაცნობის სურათების დახატვა შეიძლებოდა ამ ცხოვრებიდან, რომ რომელიმე ზეგარდმონიჭით ცხებულ ხელოვანს თვისი გულისყური მისთვის მიეპყრო და თვისი მადლიანის ნიჭით იგი მხატვრულ ფორმებში ჩამოესხა! მაშინ სარკესავით დავინახავდით მასში ჩვენს თავს, ჩვენს ნაცნობებს და ვინც იცის, ეგები ჩვენშიაც განღვიძებია ძალოვანს სურვილს აპატიისა, უმოქმედობისა და და მცონარე მდგომარეობიდან გამოსვლისას.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ამის ასრულება მეტად რთული, მეტად ძნელი რამ არის, მაგრამ ნამდვილი ნიჭი სწორედ ასეთ სიძნელის გადალახვაში მხილდება. თუ რაიმე მთელი ერთეულის შექმნა შეუძლებელია, საჭიროა ამ მხრით ნიადაგი მაინც იქმნეს შემზადებული, რომ შემდეგში მაინც შესძლოს უტყუარმა ნიჭმა ჩვენი ცხოვრების ამ ფრიად საყურადღებო ნაწილის აღწერა.

სრული სიმართლეა, რომ ქვეყნის წარსულისა და აწმყოსთან დაშორებული ქართველი ინტელიგენტი რაღაც ორად გაპობილი, დაუსრულებელ, შინაგან ჰარმონიას მოკლებულ არსებას წარმოადგენს. ძალით მოშორებული მშობლიურ კულტურას, იგი რაღაც საშუალო, დაუმთავრებელ პიროვნებას წარმოადგენს, რომელიც მუდამ რყევასა და ბრძოლაში იმყოფება, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკვე მოსჩანს ჩანასახი იმ ქართველთ ინტელიგენტისა, რომლის სულიერი სახე ხანგრძლივი ტრანსფორმაციის შემდეგ სრულიად გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბდება და ხარბად დაეწაფება ეროვნულ ცხოვრებას. იგი აღზრდის თვის სულსა და გულს თვისი ერის წარსულსა და აწმყო ჭირ-ვარამზე, მის ბედ-იღბალზე დაამყნობს თვის ბედ-იღბალს. მაშინ ჩვენი ცხოვრებაც ეროვნულ კალაპოტში იწყებს დენას და ადგილი აღარ ექნება ისეთ უკუღმართობათ, რომლითაც მოცულია დღევანდელი ჩვენი არსება. დიახ, დღეს უკვე სწარმოებს შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ამ ჩანასახს აღორძინებს და დაამთავრებს.

მერე სად არიან ჩვენი მწერლები, რატომ არ აგვიწერენ ამ ახალ ძალის ჩასახვას, მის მდგომარეობას?

გარდა ამისა, მიუხედავად ქართველ ინტელიგენტთა სულიერი სახის გამოურკვევლობის, საერთო თვისების აღმოჩენა და მათი მხატვრული ნაწარმოებში გამოხატვა არც ეგრე ძნელია. მე ჩვენი მწერლებისაგან ვერ მოვითხოვ ისეთი ტიპების შექმნას, როგორიც რუდინი, ლავრეცკი, ობლომოვი, ბაზაროვი და სხვები არიან, რადგან იგინი იქ აღმოცენდნენ, სადაც ეროვნული ცხოვრება ფართო კალაპოტში მიმდინარეობს და სადაც ყოველივე ეროვნული თავისებურობას, საერთოდ ინდივიდუალობას საფრთხე არ მოელის, მაგრამ ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრების უმთავრესი მხარეების აღნიშვნას კი უნდა მოველოდეთ.

პოეტს კ. მაყაშვილს მძიმე მოვალეობა უკისრია: მას თვის სატირაში თავს უდვია ჩვენი მოწინავე საზოგადოების დახასიათება. სატირა ეს მრავალ მხრივაა საყურადღებო: პოეტი თან და თან გვაცნობს ჯერ წვრილფეხა თავად-აზნაურობას, რომელსაც ქეიფსა და გარყვნილობაში გაუფლანგავს მამულ-დედული, შემდეგ ბობოლა თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და ინტელიგენციას. ბევრი მართლაც ბასრი, ახლად გალესილი სამართებლის პირსავით მჭრელი სატირული ადგილებია მასში მოთავსებული, რომელნიც უეჭველია, თავის ადგილს მოიხვდება ჩვენი მოწინავე საზოგადოების დაჩირქებულ ცხოვრებას, მხოლოდ ნაკისრი მოვალეობა პოეტს სავსებით ვერ განუხორციელებია, ვინაიდან მეტად რთული და მძიმე საქმის შესრულება განუზრახავს. ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ პოეტი ერთ რომელიმე ჯგუფს შეჰხებოდა და მისი მთელი სულიერი ავლა-დიდება გამოეფინა ნათელზე. მით უმეტეს მის შრომა პირველი ცდაა ჩვენი მოწინავე საზოგადოების უკუღმართ თვისებათა სავსებით გადმოცემისა.

მაგრამ, ვიმეორებ, მიუხედავად ამისა, პოეტს თვის სატირაში „ეშმაკი საქართველოში“ ჩვენი მოწინავე საზოგადოების მრავალი საყურადღებო სამწუხარო მოვლენა აღუნიშნავს დ იგინი თვალსაჩინოდ მოსწრებულს სატირულ ფორმაში გამოუსახავს.

ჯოჯოხეთის ბელზებული ტურფა ივერიის ქვეყანაში გზავნის თვის დამქაშ ზანდარს, რომ მისი შეოხებით დაიპყროს ქართველი ერი. ამასთანავე ბელზებელის ვეზირი ფხოქია აფრთხილებს:

„იცოდე კია, ქართველთან მთელი
ჯარი ეშმაკთაც ვერას გახდება,
თუ იგი კარგად დაგებულს მახეს
მოტყუებული თვით არ გაება“!

ზანდარის წარმოდგენით საქართველო დევგმირებითაა სავსე და შიშობს, „ხბო-ვირებში“ არ გამრიონო. იგი საქართველოსკენ მიეშურება და პირველად ყოვლისა მის ერთ დიდ ქალაქში ამოყოფს თავს. თითქოს პოეტთან ერთად ჰგრძნობდით, რომ ქალაქში ზანდარს სწორედ გადატაკებული, კუჭ-მშიერი ბრუგაძე უნდა შეხვდროდა, რომელსაც თვისი მამული ქაღალდის თამაშსა და ლოთობა-გარყვნილებაში გაუფლანგავს. ასეთი პირები, მართლაც, ხომ ყოველ ადგილს გვეჩხირებიან ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში.

ბრუგაძე კისრულობს, ზანდარს ქართველების მოწინავე საზოგადოების ყოველი ჯგუფი გააცნოს, მოქეიფე თავად-აზნაურთაგან დაწყობილი ჩინოსან ბობოლათამადის.

პირველად ყოვლისა ბრუგაძეს ზანდარი, რასაკვირველია, სარდაფში მიჰყავს, სადაც თავად-აზნაურობა ღრი „ღამის პეპელათი“ ქეიფობს. ტოლუმბაში ყანწს-ყანწზე გადადის და თან ღიღინებს;

ჰარალე და ჰარალეო,
ჰარი ჰარალალე!
ყანწს ნუ სტანჯავ, მოქეიფევ:
სვი, ყლაპე, დაცალეო!

ტოლუმბაშის უკანასკნელ სიტყვებს ხორო იმეორებს:

ყანწს ნუ სტანჯავ, მოქეიფევ:
სვი ყლაპე, დაცალეო“

შემდეგ ტოლუმბაში ღვინოს ზანდარსაც მიაწოდებს და მასაც შემოიერთებენ საერთო ქეიფში. ყველა სიტყვას ამბობს და მასში თვის ქარაფშუტობს ამხილებს. საერთოდ ეს სურათი ნათლად გვიხატავს ჩვენ მოქეიფე თავად-აზნაურობას, რომელიც იმდენად დაწვრილმაღლებულა, რომ გარდა სმისა, ქაღალდის თამაშისა და არშიყობისა, ყოველივე პატივსაცემი მოქმედების უნარი დაუკარგავს. მერე რა მწარედ გამოისმის მესტვირის მოსწრებული, გესლით შეზავებული სიტყვები! ამასთანავე სატირაში წარმოთქმული სიტყვები:

„ქართველო მუშტი ყბაში ჰკარ!
მსურველთა განდიდებისა
სარონკიპოში მოგველის
გვირგვინი გამარჯვებისა“!

სისხლის ზოლივით უკან გაჰყვება ჩვენს მოქეიფე თავად-აზნაურობას და მუდამ იქნება მათი მხილებელი.

ზანდარს ნახული არ აკმაყოფილებს. მას ჰსურს შეიგნოს „სიავკარგე იმ გრძელი ღერძისა, რომელზედაც ბრუნავს საქართველოს ბედ-იღბლის თვალი“. ამავე ბრუგაძის თანხლებით იგი მეჯლისში მოხდება, სადაც თავი მოუყრია ქართველ ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელთ.

მეჯლისზე მოსულთა საუბარი ხომ სულ სულის შემხუთველია. მოვისმინოთ ზოგიერთი მაინც:

კაცი:

„ისიცა ვარ, ესეცა ვარ,
ორ სკამზედა რბილად ვზივარ!
ვარ მე ტოლშკა, თუ გიგია—
აქამდის ვერ გამიგია!..

უეჭველია, მკითხველო, ეს სიტყვები შენთვის უცხო არ იქნება; იგი შენ მრავალგან მოგისმენია ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. აბა ეხლა კნიაჟნას გოდება მოისმინეთ:

ვარ მე ქალი, ქვეყნის თვალი,
გინდ ზურმუხტი, გინდა ლალი!
მაგრამ ვაჰმე, გაუთხოვარს!
ვინ მიშოვნის **ნეტავი ქმარს?** *)

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ პოეტს უკუ უგდია ის მორიდება და მოკრძალება, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი „ფრთხილი“ მწერალი იჩენს და თამამად მოურიდებლად მოუხსნია ფარდა მწარე სინამდვილისათვის ან მოხელეთა საუბარი, განა ცოცხლად არ არის აღებული ჩვენის ცხოვრებიდან? თუ თავად-აზნაურობა ღვინისათვის და ბანოვანთათვის შეუწირავს თავისი სული, ქართველ მოხელეებს ჩინ-ორდენის სამსხვერპლოზე მიუტანიათ თავისი ადამიანური ღირსება და მოვალეობა როგორც მოქალაქისა, ისე ტანჯულ ერის შვილისა.

მოხელენი (აღტაცებით)
„შეგვშურდა ღორთა ის წუმპე თბილი
იქ ჩვენც გვარგუნეთ ფართო ადგილი!
ვიხრუტუნოთ ყრუდ:
ხრუტ, ხრუტ, ხრუტ!

და ამასთანავე პიროვნებაც ფეხქვეშ დაუგოთ ჩვენს უმფროსებს, რომ ამით წარმატებას ვეწიოთ.

მარიხელნი ერთხმად ამბობენ:

„პატიოსნება გვიზის მუნდირში,
გული ხმალშია, ჭკუა ფეხებში;
მთელი სიცოცხლე პაგონებშია,
ექსულბანტებში, ბრჭყინავ დეზებში“.

ამგვარად მეტად სამწუხარო სურათი გვეშლება თვალწინ, მაგრამ მოთმინებით უნდა აღვიჭურვნოთ და ბოლომდის უნდა ჩავიკითხოთ სატირა. სურათი მართლაც სამწუხარო შეიქმნება.

დარბაზში შემოდიან მდიდრულად ჩაცმულნი ჩინოსანნი და სარდალნი, რომელთაც ისე მედიდურად უჭირავთ თავი, თითქოს იგინი იყვნენ დედა-ბოძი ქვეყნიერებისა. დამსწრე საზოგადოებაც დიდის მლიქვნელობით და მონურის კრძალებით ეგებება ამ პატივცემულ პირთ, რომელთაც წარმოუდგენიათ, რომ იმათი-ნა ადამიანები „იშვიათად იბადებიან“, რომ მათ მიანიჭეს საქართველოს ბედნიერება და ზედ მიწევნით შეასწავლეს „ქვემძრომობა-ლაქიობა“. ქანდაკების მწარე სიტყვები გაისმის დრო გამოშვებით დარბაზში:

„გზა, გზა მიეცით ძველნო ღმერთნო
ახალ მშვენიერს,
ღმერთსა დაჩაგრულთ, ღმერთსა მე-
ძოლს, უშიშარს

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 519.

*) კურსივი ყველგან ჩვენია.

ხმათა არა მუსიკობდიან?" „ფრანგი და ბერძენნი. ზღვასა შინა მენავენი, თამარის ქებათა არ იტყოდიან?"...

თუ ეს არ მოვიგონოთ, ვიღა გავიხსენოთ, ვისღა ვსცეთ პატივი, ვისიღა სახსენებელი იყოს ჩვენთვის ძვირფასი? არა, შეუძლებელია თამარის დავიწყება, არ მოგონება მისი სახელისა! გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ იუბილეს გამართვა უნდა ითავოს წ.-კითხვის საზოგადოებამაო. ეს ყოვლად მოუხერხებელია და მთავარმა გამგეობამ კიდეც უარი სთქვა ამაზე. თამარ მეფის მოსაგონებელი დღესასწაული — ეს ეროვნულ-ისტორიული დღეა, მას პირდაპირი კავშირი არა აქვს წ.-კითხვის საზოგადოების მუშაობასთან და სხვა არა იყოს რა, ნებართვასაც ვერ აიღებდა. ყველაზე უფრო ამ იუბილეში თაოსნობა ეკუთვნის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, ან ისეთს „ლეგალურს" დაწესებულებას როგორიცაა თ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო. ამ უკანასკნელს უფრო ადვილად შეუძლიან ნებართვის მიღება ვისგანაც ჯერ არს და საქმის მოწყობისათვის კი მოიწვევდა სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებს. სამწუხაროდ არა ისმის რა, თუ რას ჰფიქრობს პატივცემული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება—როგორ უნდა მიეგებოს ღირსშესანიშნავ ამბავს. რაც შეეხება თ.-აზნაურობას, როგორც სჩანს, თამარის იუბილე არც კი გახსენებია... ყოველს შემთხვევაში კიდევ შეიძლება საქმის გამობრუნება, და თუ გული გულობს, შეიძლება რიგიანად, თუ არა დიდის ზეიმითა და ზარით, ცოტაოდნად ღირსეულად მაინც აღვნიშნოთ თამარის დღე: შესაფერი პარაკლისებით, კრებებით, წარმოდგენებით, ლექციებით, წიგნებისა და სურათების გამოცემით.

თუ საქმის მეთაურნი იქნებიან, ყველანი შესძლებენ თავის წვლილის შეტანას დღესასწაულში: საისტორიო-საეთნოგრაფიო და წერა-კითხვის საზოგადოებანი გამოსცემენ წიგნაკებს და სურათებს, სახალხო უნივერსიტეტები გამართავენ ლექციებს, თეატრები—ისტორიულს წარმოდგენებს, ფილარმონია დაამზადებს სამუსიკო ნაწილს და სხვა.

მაინც მკითხავენ კიდევ: „მეთაური რომ არავინ არისო? ვიტყვი: თუ ასე გაჭირდა საქმე, თუ არავინ ჰბედავს და ჰკისრულობს მეთაურობას, დაწყებას, ამ შემთხვევაშიაც, როგორც მრავალჯერ ჩვენს წარსულში, საქმეს უნდა ჩაუდგნენ თავში ჩვენი დედები. ვის შეჰფერის, თუ არა მათ, მოწყობა და მეთაურობა დღესასწაულისა საქართველოს საუკეთესო ქალისა? განა თამარი არაა უსაყვარლესი სახელი მათთვის? განა იგი არ იყო განხორციელება ყოვლისა სათნოებისა დედა-კაცისა „სიმდაბლე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, ლმობიერება მოკლე, მოწყალება თანალმობილი, უმანკოება უზაკველი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხვე აღუზვაებელი და თავი ყოვლისა კეთილისა"?

დიაღ, თამარის იუბილე ყველაზე უწინარეს მამულის დედების დღესასწაულია და თუ არიან დედები ჩვენში, ხმას ამოიღებენ ეხლა, შესძრავენ მიძინებულ საზოგადოებას და მოაგონებენ ყველას თავის მოვალეობას.

მაშ, ქართველო დედებო, მამულის დედებო, ხმა ამოიღეთ საუკეთესო ქართველი დედის სახელისათვის! ხმა ამოიღეთ, როდესაც სხვანი სდუმან!.. **ვინმე გარდახვეწილი.**

ერთა საკითხი რუსეთში ინგლისელის აზრით

ამას წინად ინგლისში გამოვიდა „რუსეთის მიმოხილვა". „მიმოხილვა" კრებულია და სამ თვეში ერთხელ გამოდის. ჟურნალს რედაქტორობენ ბ-ნნი ბერნარდ პერსი, მორის ბარინგი და სამუელ ქარპერი. ამ კრებულის გამოცემის აზრი ლივერპულის უნივერსიტეტთან არსებულ „რუსეთის შესასწავლ სკოლას" ეკუთვნის. პირველ წიგნში მოთავსებულია მეტად საგულისხმო წერილი **ჰაროლდ ვილიამსისა.** „ერთა საკითხი რუსეთში". ავტორს საგნის ცოდნა ეტყობა.

ჰ. ვილიამსი აღნიშნავს, რომ რუსის ხალხს გარს არტყია დიდი რგოლი სხვა და სხვა ეროვნებათაო. შემდეგ განაგრძობს:

რუსეთის იმპერიაში მომწყვდეულ ზოგიერთ ერის კულტურა რუსისას არ ჩამოუვარდება. ყველა ერმა გაიღვიძა და გათვიცნობიერებასა სცდილობს. საკითხს ართულებს მთავრობის ვიწრო ნაციონალისტური პოლიტიკა. საქმის გამრთულებელია აგრეთვე ადმინისტრაციის ცენტრალიზაცია. ბრიტანიის იმპერიაში სამხრეთ აფრიკის ზანგთა საკითხს ადგილობრივ ფედერატიული პარლამენტი სწყვეტს ხოლმე. კანადის პარლამენტის საქმეა ფრანგულ ენის საკითხის გადაწყვეტა. ახალ ზელანდიის პარლამენტი სწყვეტს ხოლმე ადგილობრივ მცხოვრებთა მიწათმფლობელობის საქმეს. რუსეთში კი,—ამბობს ვილიამსი,—სულ უბრალო და წვრილმანი საკითხი სატახტო ქალაქში უნდა გადასწყდეს. მაგალითად, პეტერბურგიდან გაგზავნილ განკარგულების ძალით პოლონელთა ეკლესიიდან უნდა გაიტანონ პატარა ფიცარი, რომელიც კაზიმირ დიდის სახსოვრად არის ჩამოკიდებული, უკრაინის განმანათლებელი საზოგადოება, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, უნდა დაიკეტოს, ამ ბოლოს დროს საკვირველი დეცენტრალიზაცია კი გამეფდა: გუბერნატორებს ნება აქვთ თავის მოსაზრების მიხედვით მოქმედებისა და განკარგულებათა გამოცემისა. ასეთი თავისებური დეცენტრალიზაცია ისეთს მდგომარეობასა ჰქმნის, რომ ზოგჯერ ერთს გუბერნიაში მეტი თავისუფლებაა, ვიდრე მეორეში. ეს, სხვათა შორის, აიხსნება პეტერბურგში სხვა და სხვა ჯგუფთა ბრძოლითაც. ესენი ჰნიშნავენ რეკომენდაციით გუბერნატორებს და მათს რჩევას გასავალი აქვს. გაბატონებულთა კლასი სცდილობს ძველის გზით, გარუსებით მიაღწიოს მიზანს. გონიერთ კი,— დასძენს ვილიამსი,— ასეთი პოლიტიკა რუსეთის იმპერიის დამარღვევლად მიაჩნიათ.

მაშ, რა პოლიტიკაა საჭირო სხვა ერთა მიმართ? ჰაროლდ ვილიამსი აღნიშნავს, რომ რუსები სხვა ერებზე ბევრნი არიანო. ეს პირველი უპირატესობაა და რუსეთს მეტს სიმკვიდრეს აძლევს, ვიდრე, მაგალითად, მრავალ ეროვნებით დასახლებულ ავსტრიასა. ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრი სასტიკი ზომა ბიუროკრატიამ სილაღის გამო მიიღო უცხო ერთა წინააღმდეგ, თორემ გარკვეული პოლიტიკა არც კი აქვსო. მაგრამ სამოციან წლებში ეს ამბავი ა. ი. გერცენმაც აღნიშნა. „პეტერბურგის მთავრობას მეტად უყვარს დესპოტიზმი და შიშის ზარის დაცემა უყვარს, რომ მის წინაშე ყველა ძრწოდეს და უფლება კი არა ჰსურს, არამედ მისი შელამაზებაცა. პეტერბურგის იუპიტერთა საზოგადოების იდეალი—დერეფანი და ყაზარმაა („Былое и Думы"). ავტორის აზრით, ერთა საკითხის ნორმალურად გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ერს და განსაკუთრებით რუსის ხალხს, გზა მიეცემა ცივილიზაციის თავისუფალ ჰემუშავებისა. რუსეთის ბიუროკრატია ხიშტებით იცავს რუსებს „ინოროდცებისაგან," მაგრამ თავისუფალ განვითარების ნებას კი არ აძლევს. ერი, რომელსაც წარმოუშობნია ისეთი გენიოსი მწერლები, როგორც პუშკინი, ტურგენევი, ტოლსტოი და დოსტოევსკი, შესძლებს ძლიერ კულტურის შექმნას და მეტოქეობასაც არ უნდა ეფიქრებოდეს. რუსეთში ცივილიზაცია განვითარდება მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ერი ამუშავდება, „რადგანაც რუსეთის იმპერია,—ამბობს აროლდ ვილიამსი,—მარტოოდენ პუშკინისა და ტოლსტოას კი არ ჰნიშნავს, არამედ მიცკევიჩისა და სლოვაცკისა, შევჩენკოს, კალევალს, სიბელიუსს, ლატიშთა და ესტთა ხალხურ ლექსებსა და ქართველთა საშუალო საუკუნის პოემას „ვეფხის-ტყაოსანს". რუსეთის იმპერიაა აგრეთვე ლატიშთა ახლად წარმოშობილი ლიტერატურაა და სხვა. („რ. ვ.")

სალიტერატურო დილა
ბათომში

5-ს თებერვალს, აქაურ ქართულ სკოლაში სალიტერატურო დილა გამართეს, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ ამავე სკოლის მოწაფენი. დილა შესდგებოდა სამი ნაწილისაგან. 1 ნაწილში სხვა და სხვა ქართულ-რუსული ლექსები იყო წაკითხული და ხორომ იმღერა: „რეორო", „გოგონა", Ой шелъ-я.

მე-2 განყ. წარმოადგინეს ერთ-მოქმედ. კომედია „პეტრიკა მოიწამლა", (რომელიც ჟურნ. „ჯეჯილის" 1908 წ. მესამე ნომერშია მოთავსებული). მე-3 განყ. მოწაფეთა გუნდმა იმღერა 1) ერეგვე და ცანგალა 2) Ой ходила და 3) „საცუკვარი" ამავე განყოფილებაში სხვა და სხვა სცენები იყო წაკითხული.

ხორომ ისეთ მშვენივრად შეასრულა ეს სიმღერები, რომ რამდენჯერმე დიდის ტაშის-კვრით გაამეორებინეს.

კომედია „პეტრიკა მოიწ." შეასრულეს საუცხოვოდ. „პეტრიკას" როლს ასრულებდა მეოთხე განყ. მოსწავლე ლორია, პოლიას როლს—ცქვიტიშვილის ქალი. ხოლო ექიმის და პეტრეს როლს ასრულებდა მოსწავლე არჩუაძე. სამივე ეს პატარა „მსახიობნი" ისე გაბედულად, აუღელვლივ ასრულებდნენ თავ-თავის როლებს, რომ მაყურებელთა თვალწინ არა 10—12 წლის ბავშვები თამაშობდნენ, არამედ რამდენჯერმე სცენაზე ნამყოფი მსახიობნი!..

„მგელი და კრავი" წაიკითხა მესამე განყ. მოსწავლე ქართველმა მაჰმადიანმა ჯამალ-ქორდანიამ კარგის მიმიკით და კილოთი.

„გლეხი და ცხვარი წაიკითხა ჯამალ-გავარელ-ოღლიმ. „დიმიტრი თავდადებულიდან" „მოდით შვილნო" წაიკითხა მეოთხე განყ. მოსწავლემ მგელაძემ, თუმცა სიტყვა: „მოდით შვილნო" არ შეეფერებოდა ამისთანა პატარას, მაგრამ ისეთი გრძნობით იყო წაკითხული, რომ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, აგრეთვე ლექსმა „განთიადი" აკაკისა, წაიკითხა პატარა გოგონამ გამსახურდიამ ისეთის გრძნობით, რომ, როგორც პირველ ლექსზე ისე მეორეზედ ხალხს უნებურად გული აუყუჩდა და თვალზე ცრემლის ნაკადული მოადგა!..

მოდი და გული ნუ აგიყუჩდება, როდესაც პატარა თითის ტოლა ბავშვებისაგან ისმენთ დიდებული პოეტების სიტყვებს: „ეხლა რა ვართ, საწყელ ფურად თავი ჩვენი გადავიქციეთ... „რაც ვართ ის ნუღარ ვიქნებით, ღმერთი გვიხსნის. თუ შვილთ გზა და ხიდად გავედებით...

გული სიხარულით გევსებათ, როცა ჰხედავთ წითელ ფესიანებს, ოდესღაც ჩვენ მოძმეთა შვილებს, რომელნიც დღეს სცენიდან მშვენიერის ქართულით არაკების წაკითხვით გვატკბობენ...

მშვენივრად წაიკითხა რუსული სცენები: въ поискахъ за жеребеночкомъ на экзаменѣ—მოსწავლე ჩიჩიბაიამ აგრეთვე მოსწ. ფხალაძემ კარგათ წაიკითხა ქართული სცენები: „ბებერი მგელი და სულელი მგელი".

საზოგადოდ დილამ საუცხოვოდ და უნაკლულოდ ჩაიარა—ბევრი ნატრობდა: „ნეტა წლევანდელი „ნინოობა ამის ნახევარი მაინც ყოფილიყოო"... ამიტომ მადლობის ღირსნი არიან ბ. ბ. ხელმძღვანელები გოგოლაშვილი, მგელაძე, რამიშვილი და შარაშიძე (ლოტბარი).

დრო არის აქაურმა საზოგადოებამ დააფასოს ღვაწლი ამ მასწავლებელთა და შეიბრალონ ის ნახევრად ტიტველა ბავშვები, რომელნიც დღეს სცენიდან გვატკბობდნენ... უნდა ვიცოდეთ, რომ თითქმის ყველანი „ყელგადაგდებულ"-თა შვილებია აქ მოსწავლენი...

დიდად ნასიამოვნი საზოგადოება დერეფანში ფერხულით გამოაცილეს ბავშვებმა... ხალხი ბევრი დაესწრო „დილას". **ტრ. ინასარიძე.**

წერილი დონის-როსტოვიდან.

როგორც ვიცით უნივერსიტეტის საკითხის გამო როსტოვის ქალაქის თავი კირიანოვი პეტერბურგს იყო გაგზავნილი. კირიანოვი უკვე დაბრუნდა და 31 იანვარს ქალაქის გამგეობას მოხსენება წარუდგინა. ამ მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი წინააღმდეგი გამხდარა უნივერსიტეტის გახსნისა როგორც ნოვოჩერკასკში, ისე როსტოვში. საზოგადო აზრი კი ისეთია, რომ როსტოვს იმედი უნდა ჰქონდეს სამედიცინო ფაკულტეტისაო. ხმოსანმა გორბენკომ განაცხადა—პეტერგში შემთხვევა მქონდა მებაასნა სახალხო განათლების დეპარტამენტის [illegible]-საგან გავიგე, რომ უნივერსიტეტის საკითხში ჩვენი [illegible]-კასკი კი არ გამოდის, არამედ ტფილისიო. ამან გააწიწმატა ადგილობრივ ჭეშმარიტ რუსთა გულის მესაიდუმლე, „ცნობილი" ქალაქის თავი **კირიანოვი.** საუწყებათაშორისო კომისიაში დაიწყო მან, ტფილისზე ბევრი ილაპარაკა და ნამესტნიკის წარმომადგენელიც დაბეჯითებით მოითხოვდა—უნივერსიტეტი ტფილისში უნდა დაარსდესო, მაგრამ 21 ხმის უმეტესობით კომისიამ მხარი როსტოვს დაუჭირა. ტფილისი ყოველ შემთხვევაში ჩვენი მოქიშპე არ შეიძლება იყვეს. იქ შეუძლებელია რუსის სტუდენტობის ყოფნა. ტფილისის უნივერსიტეტში მხოლოდ სპარსეთიდან მივლენ. რუსების იქ ჩასვლა საშიშია—გვერდში ხანჯალს გაუყრიანო („русскимъ туда будетъ опасно ѣздить, ибо кинжалъ въ бокъ получатъ"). ამას ამბობს ადამიანი უმაღლეს სწავლით აღჭურვილი, ქალაქის თავი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

როგორ მოგწონს, მკითხველო, ასეთი „ატესტაცია"??...

როგორც ამას წინადაც ვწერდით მეოთხე სათათბიროს არჩევნების მოახლოვებამ გამოაფხიზლა პოლიტიკური ორგანიზაციები. ყველამ თვალი მოიფშვნიტა, მიმოიხედა ირგვლივ, გადაავლო თვალი მოპირდაპირეთა ბანაკს, დაირაზმა, სამზადისს შეუდგა. ადგილობრივი ჭეშმარიტი რუსები, ოქტომბრისტები და ნაციონალისტები შეერთდნენ, რომ შეერთებულის ძალით გაიტანონ ლელო და სათათბიროში თავიანთი კაცები გაჰგზავნონ. პირველი ნაბიჯი ამ შეერთებისა მათ ლექციით აღნიშნეს. ოქტომბრისტ-ნაციონალისტ-ჭეშმარიტ რუსთა შეერთებულმა ორგანიზაციებმა მოიწვიეს პროფესორი პ. კოვალევსკი, ნაციონალისტი, და 29 იანვარს საჯარო ლექცია წაიკითხეს „ნაციონალიზმი, მისი მიზანი და უფლება". ლექტორმა სახელმწიფოს ყველა პოლიტიკური პარტიები ორ ბანაკად გაჰყო: სახელმწიფო ცხოვრების ბურჯნი, მომწყობნი და ოპოზიცია, ყველა მარცხნივ მდგარი პარტიები. ცხოვრება რომ ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობდეს, ამისათვის ყველა პარტიებია საჭირო. ოპოზიცია, ეს ზარია, ზარი გამომაღვიძებელი, რომელიც იძულებულ ჰყოფს გაბატონებულ პარტიებს

მაგრამ ვაზა რას ეტყვის ქანდაკება იგი ამ „პატივცემულ გვამთა" ბინძურს სულს;

სწორედ საუცხოვოდ აქვს აწერილი პოეტს ჩვენი სამღვდელოების ცხოვრება, რომელსაც იმდენად დაუკარგავს თავისუფალი მოქმედების მკრთალი ჩანასახიც, რომ უსულო ტიკინად გადაქცეულა და ამასთანავე ქეიფსა და ლოთობისთვის მიუცია თავი. გარნა ჩვენს სამღვდელოებაშიც მოიპოვებიან ყოვლად კეთილშობილნი, პატიოსნებით სავსე პირნი, ეს ჩვენმა პოეტმაც კარგად იცის, მაგრამ ჯერ ერთი იგინი თითზე ჩამოსათვლელნი არიან და მეორედ კი თვით თავისი თანამოძმენი უთხრიან მათ სამარეს თავისი ჩუმი დაბეზღებით და საიდუმლო მოქმედებით საერთო სურათი კი ჩვენი სამღვდელოების ცხოვრებისა პოეტს მართლაც რომ სიცხადითა აქვს გადმოცემული.

მოისმინეთ, რას ლუღლუღებს მთვრალი მამა იოილე:

სმა და ჭამა
მუდამ სრული...
დრამის ფული...
ფულის დრამა...
ტაბლა... ფლავი...
გოჭი... კრავი...
ბლომად მკვდარი...
დღეში შვიდი
პანაშვიდი,
განა მცირე
დიდი... დიდი!..

განა ბევრს რამეს არ მოგვითხრობს ის სურათი, როდესაც ზანდარი არქიელის სახით მოევლინება მოქეიფე მღვდლებს და ძალზე შემკრთალნი მამანი ერთი-ერთს სხვა და სხვა ბრალსა სდებენ და არქიელს ერთგულებასა და სიყვარულში ეფიცებიან!

უკეთეს სურათს ვერც ჩვენი „ქვეყნის მხსნელ" ინტელიგენციის ცხოვრებაში ვხედავთ. ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი იგინი სახის სერიოზული გამომეტყველებით დასეირნობენ ვრცელ დარბაზში და საჭირბოროტო საკითხების გარკვევას ლამობენ.

„რანი ვიყავით? ეხლა ვართ რანი?
აგვიწიოკეს სამშობლო მხარე!
მთლად გადავგვარდით, დავიღუპენით,
შეპყრობილნი ვართ უკურნავ სენით
ითხრება, ვაი, ჩვენთვის სამარე!..

ეს სასოიხდილი სიტყვები მართლაც რომ დამახასიათებელია ჩვენი ინტელიგენციისა, რომლის მოქმედება ოხვრასა და გოდებას ვერ გასცილებია. ამ სიტყვებში ნათლად გამოსჩანს ჩვენი ინტელიგენციის უკუღმართი სენი, რომელიც ყოველივე მოქმედებას სათავეში ჰკლავს. დიახ, სატირის ამ ადგილში შემოგესმებათ სინამდვილის მეტყველი მწარე სიტყვები და ჩვენი ინტელიგენცია ძალზე დაავადმყოფებული სრულის სიცხადით წამოგექრებათ თვალ წინ.

„ვიბერები, ვიბერები,
ძლიერ გავიბერე!
სხვა მგოსანი, ხმა ფრთოსანი
ვერვინ შევიწყნარე!
მე ვარ, ვიყავ და ვიქნები
მსხვილი რამ, სხვა—მწერი!
მე—გვირგვინი, სხვას წინ წყალი უკან
მეწყერი!"

მართლაც, ლამის ერთმანეთი შევსჭამოთ. როგორც უკვე მოვიხსენიე, სხვისი წარმატება სულის სიმშვიდეს გვიკარგავს, სამაგიეროდ სხვისი უბედურება ზეცად მიგვაფრენს. თუ მეგობარი რაიმე წარმატებას ეწია, ჩვენ მას მსწრაფლ ვშორდებით, რადგან ჩვენზე მაღლა მდგომი ადამიანის ახლოს ყოფნას ვერ მოვითმენთ, ვერ შევურიგდებით. იმდენად გაუტაცნივართ პირადი მედიდურობისა და განდიდების სურვილს, რომ არავითარ ზომებს არ ვერიდებით სხვის დასამცირებლად.

მაგრამ არის კიდევ ერთი ნაწილი ჩვენის ერისა, რომლისკენაც მიპყრობილია ჩვენი იმედი და რომლისაგანაც მოველით ჩვენი ქვეყნის აღორძინებას. სწორედ ეს იმედია, რომ გულს გვიმაგრებს და სამოქმედოდ მიგვიწვევს. პოეტიც სწორედ ჩვენი ერის ამ ნაწილზე მიგვითითებს:

„ჰო, იხარხარეთ! იმხიარულეთ?
ვაი, რომ ეს დრო მართლაც თქვენია
ვერ იბატონებთ მხოლოდ დიდხანსა:
ილვიძებს ერის მძლავრი გენია!
ხალხის შუაგულ, ხალხის სიღრმეში
რასაც ვერ მიხვდა თქვენგან ვერც ერთი
იფარვის ძალა მთათა შემძრავი:
ჯერ ნორჩი, მაგრამ **უძლევი ღმერთი**"

„ილვიძებს ერის მძლავრი გენია", ვიტყვით ჩვენც ჩვენს პოეტთან ერთად და სრულის იმედით მივეგებებით ჩვენი ქვეყნის მომავალს.

⁂

ვ. ბარნოვის მოთხრობა: „თებერას დანიშნულში" ძლიერად გვიზიდავს თვისკენ. სოფლის ბიჭი თებერა, რომელიც დილიდან საღამომდის ბუნების კალთის ქვეშ ატარებდა წუთი-სოფელს თვის ღორებთან ერთად, სანამ სხვის კარს მოჯამაგირედ იდგა. თებერა შვილია ბუნებისა, მას ესმის მისი ყოველი საიდუმლოება. იგი სტკბება განთიადის ქვრეტით, სტკბება საერთოდ ბუნების წარმტაც სურათებით. მის გულს ახლოს არ მიჰკარებია რაიმე გარყვნილება, მისი სული ქალწულებრივი სიწმინდის მატარებელია. მწერალი ძლიერის სიმპატიით ეპყრობა თვის თებერას და თვის მხატვრული აღწერით ჩვენს გულშიაც აღვიძებს მისდამი სიყვარულს, სიმპატიას.

როდესაც თებერა სოფელში ბრუნდებოდა, მასთან მსწრაფლ გაჩნდებოდნენ ხოლმე მისი ტოლ-ამხანაგები და იგიც უამბობდა მათ სხვა და სხვა ამბებს, „მთისა, თუ მდინარის ცხოვრებას, ფრინველისა, თუ ნადირის ნამოქმედარს, წყლისა თუ მასში მნათობთ დანაბარებს" და სხვას. ყველანი გულდასმით ისმენდნენ მის საუბარს, რადგან „გრძნეული იყო თებერა: ცხოველის საუბარიც ესმოდა, ფრინველთა ენაც, წყალისა თუ ტყის ჩხრიალ-შრიალიც შეგნებული ჰქონდა".

კითხულობთ ამ მოთხრობას და ძალა-უნებურად მოგონებანი მოგონებაზე ამოსცურდებიან მეხსიერებიდან და გიტაცებენ ნაცნობი სოფლის ტყე-ველისაკენ, სადაც გაგიტარებია სიბავშე და სადაც ტოლ-ამხანაგ მწყემსებთან ერთად მთვარიან ღამეს მრავალი ზღაპარი მოგისმენია. ამისათვის გიყვარს თებერა, რადგან ბევრს ვინმეს მოაგონებს ბავშობის დროიდან, ხოლო სიბავშვეში მიღებული შთაბეჭდილებანი დიდადაც რომ ძლიერნი არიან და ჩვენის მეხსიერებიდან წარუხოცელნი.

თებერას შეუყვარდება ობოლი, სოფელ გვერდნგრეულის გზირის კაკლუას, გერი ეონა. იგი მიანებებს თავს სხვის კარზე მოჯამაგირეობას და თვის გაპარტახებული კარ-მიდამოს აღდგენას შეუდგება.

სწორედ რომ ნამდვილი სურათი მოგვცა მწერალმა სოფლის გზირის, რომელსაც გული აუცრუებია თვის სამუშაოზე და ერთხელვე მიჩვეული სიარულს, აქვს თუ არა საქმე, იგი სახრით ხელში მაინც დახეტიალებს უბან-უბან და ხან ვის გამოელაპარაკება და ხან ვის.

კაკლუა მთელი დღე სიარულს უნდებოდა და მთელი ოჯახი კი ეონას დედის კისერზე დაეტოვებინა: რასაკვირველია არც ეონა იქნებოდა უსაქმოდ.

ეონას შეამჩნევს სოფლის მედუქნე თევდორა და მასში ძალზე ილვიძებს ვნება ამღილი ჟინი მისი გაუპატიურებისა. თევდორე ქალაქის სირაჩხანაში ნათრევი იყო და ბევრი რამ უკუღმართი თვისება შეეთვისებინა. იგი ნამდვილი წურბელა იყო სოფლისათვის, მთელი სოფელი ხელში ეჭირა. ყველა მისი მოვალე იყო იყო.

რამდენად თებერა პატიოსანი და უხინჯო ადამიანი იყო, იმდენად თევდორა სინიდის წარეცხილი, უმსგავსო არსება იყო; რამდენად თებერას ნორჩ სულს ჯერ კიდევ არ შეჰხებოდა გარყვნილების ტალღა, იმდენად თევდორას სული ქვენა წუმპეში ამოსვრილ გრძნობათ მოეცვა; რამდენად თებერას გულში მძლავრად სცემდა კეთილშობილური სურვილებით სავსე გული, იმდენად თევდორას გულში შეუბრალებლობასა და მხოლოდ თავისი სურვილების შესრულების ნდომას დაესადგურებინა. ერთი სიტყვით, ეს ორი ადამიანი ურთიერთის სრული წინააღმდეგობანი იყვნენ.

ასეთმა ადამიანმა მოინდომა ეონას გაუპატიურება და ამისთვის არავითარი საშუალება არ დაუზოგავს. ბოლოს, როდესაც ვერას გახდა, ეონას ცოლად შერთვაც კი განიძრახა, მხოლოდ იმისთვის, რომ მის ხორცს დაპატრონებოდა, ერთიანად ამოეწოვა ფიალა ბედნიერებისა, მით დაეკმაყოფილებინა თვისი გიჟური ვნება და შემდეგ კი დამჭკნარი ყვავილივით ფეხით ეთქირნა. მწერალმა ღრმად ჩაგვახედა ამ ვნება-აშლილ ადამიანის სულში და ნათლად დაგვანახა მისი წაბილწული სული.

ვერც ამ გზით გახდა თევდორა ვერაფერს, ხოლო ჟინი კი თან და თან ედებოდა მის სხეულს და მოსვენებას უკარგავდა. იგი მზად იყო ხანჯალიც კი დაეცა ეონასთვის და ჯერ კიდევ თბილს ჩახუტებოდა, რომ ამით მაინც დაეკმაყოფილებინა თავისი ჟინი,—წავალ, ეხლავე წავალ და ხანჯალს ჩავცემ მუცელში ი შეჩვენებულს! მაშინაც აღარ ჩამომშორდება გონებიდან მისი სახე?! მაშინაც აღარ მომცემს მოსვენებას ის ეშმაკის კერძი?! ერთს კი დავეკონები, დავეკონები! იძახდა გადარეული და ლამის სისრულეში მოეყვანა საოცარი ფიქრი.

თებერა კი მუდამ ეონას ეძებდა; მასთან ყოფნა სწყუროდა. მწერალს ძლიერ კარგადა აქვს გადმოცემული თებერას მიერ ეონასთვის სიყვარულის ახსნა: აქ ყველაფერი თავისთავად მოხდა, უბრალოდ, გულში დაბუდებულმა გრძნობამ ნაპირს გადმოხეთქა და მოკრძალებით ამხილა თვისი თავი.

მისივე მსგავსმა გრძნობამ იჩინა თავი ეონას გულში და ორი არსება სამუდამოდ ერთმანეთის გახდნენ. გვეგონა, მწერალი მათ ან შეაერთებს, ან მოთხრობას გააღრმავებს, თებერას საყვარელი არსებისათვის საბრძოლველად გამოიყვანს, ის კი არა თებერა შესცქერის თევდორას თავხედობას და ძალაუნებურად ემორჩილება თვის ბედს, რადგან საქმე არა თანასწორ მეტოქესთან აქვს. აქ კი ვერ დავეთანხმებით მწერალს, მართალია ჩვენებურ გლეხს ბევრის მოთმენა შეუძლია, ბევრს რამეს ჩაიკლავს უხმოდ გულში, რომელსაც, ვინ იცის, იქნებ მხოლოდ ცივს სამარეს გაუზიარებს, მაგრამ ის თებერა, რომელიც ბუნების წიაღში აღიზარდა და, რომელსაც ბუნებასთან დაახლოვების გამო ბევრი გამოცდილება და ვაჟკაცური გრძნობებიც შეეძინებოდა, იმას ვერ მოითმენდა, რომ გულგრილად ეყურებინა, როგორ მოჰგლეჯდნენ ძვირფას არსებას და მახინჯი ადამიანის სათელ ბურთად შეჰქმნიდნენ. არა, ამას თებერა ვერ მოითმენდა, მით უმეტეს მისთვის ეონა ყოველივე იყო. მის გულისათვის მან გაჩაღებული სახლ-კარიც კი მიატოვა და შეურაცყოფას, დამცირებას იგი ვერ შეურიგდებოდა.

ჩვენთვის გაუგებარია ისიც, თუ რად დასჭირდა მწერალს ეონას სადღაც, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში მიყვანა და იქ მისი რაღაც წმინდანის სახით დასურათება.

ალ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

P. S. წინა წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია შეპარული: უკანასკნელ სვეტზე სწერია: მოჰყავდა სულ მობრძავი მტრედი, რომელიც სულს ებრძოდა, უნდა იყოს: **რომელიც** სულს ლაფავდა; სწერია გაკრინდნენ, უნდა იყოს: **გაფრინდნენ**. ა. წ.

ფხიზლად იყვნენ, ძილს არ მიეცნენ ულძრავს უნარს მოქმედებისასაო. ნაციონალიზმის საფუძვლად პროფესორმა სამი დებულება აღიარა: თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ერთხელმწიფება. შემდეგ მოიყვანა რუსეთის ისტორიიდან მაგალითები და დაამტკიცა სლავიანთა ტომის დამახასიათებელი თვისება ყოველ დროს უთავბოლობა იყო, თავიანთ ცხოვრების მოწყობის უუნარიანობა, ერთმანეთში კინკლაობა და მტრობა. ხოლო როცა სლავიანთ სათავეში უდგებოდა რომელიმე პირი, წინამძღოლი, ისინიც წამოიმართებოდნენ წელში, ძლიერდებოდნენ. ასეთი იყო რუსეთი პეტრე დიდის, ეკატერინე მეორის და ალექსანდრე მესამის დროსაო. ხალხი რუსეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობაში არ უნდა ჩაერიოს, ეს შორეულ მომავალის საქმეა, როცა თვით ხალხი იგრძნობს ამისათვის თავის ძალასა და უნარს. 1905 წელს ხალხი ამას არა გრძნობდა, უძლური იყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის, ამიტომაც დამარცხდა რევოლუციაო. მართლმადიდებლობაც ურყეველია; იგი ნაციონალური სარწმუნოებაა. გადახლართულია იგი სლავიანთა სულთან, ხასიათთან ისევე, როგორც კათილიციზმი რომანულ (ერთა) პროტესტანტიზმი გერმანულ ერთა სულთან. ამიტომ მართლმადიდებლობას, როგორც ეროვნულ სარწმუნოებას, მეტი უფლება უნდა ჰქონდეს სხვა სარწმუნოებათა წინაშე, უფლება საჯარო ქადაგებისაო. ნაციონალიზმის ერთი საფუძველთაგანი მისი სიტყვით ერთხელმწიფებაა. ეკატერინე მეორის, კარამზინის და პავლე პესტელის თხზულებებიდან მას ამონაწერები მოჰყავს და ამტკიცებს, რომ წვრილ ერებს, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოში შედიან, არ უნდა ჰქონდეთ იმედი დამოუკიდებლობისა. ისინი ისტორიულად უმორჩილდებოდნენ უფრო მძლავრ ეროვნებას. მათ შემოერთების დროს რუსეთმა იმოდენა სისხლი დაღვარა, რომ ჩვენ ვერ გადავადგამთ ფეხს ამ სისხლს, რათა დავანაწილოდ ის, რის შეკოწიწება-შედუღებაც ასე ძვირად დაგვიჯდაო. ამის შემდეგ ლექტორი ნაციონალისტურ პარტიების პროგრამაზე გადავიდა. პროგრამას საფუძვლად ხალხის კეთილდღეობა უნდა დავუდოთ. რომ ხალხს დავეხმაროთ, ცხოვრებაში შემდეგი ზომები უნდა იქმნეს განხორციელებული: უნდა აღვადგინოთ საეკლესიო მართლმადიდებელი სამწყსო და შემოვიღოთ სამღვდელოების საარჩევნო უფლება, ხელი უნდა შევუწყოთ პროფესიონალურ განათლებას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ფეხისმოკიდებას და უნდა დავადგინოთ პრინციპი—რუსული კლასიციზმი სკოლებში. ყველა ამის მიზანი იქნება შევქმნათ ძლიერი რუსეთის სახელმწიფო, რომლის სათავეშიც იდგება რუსის ერი, როგორც ბატონი ამ სახელმწიფოსიო, დაამთავრა კოვალევსკიმ თავისი ლექცია.

სან-განიძე.

წერილი პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია პარიზში.

12 თებერვალს, (ჩვენებურად 30 იანვარს) მომხდარი ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია გამოიწვია არნულის დასაფლავებამ, 1909 წელს ჯენან-ედ-დარ-ში გარდაიცვალა, გამოსწორებელ რაზმში მყოფი არნული. არნულის ამხანაგი რუსსე ამტკიცებდა, რომ ის იყო მოკლული ერთ აფიცერის და ორ პრაპორშიკის მიერ. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელ საფრანგეთში; არნულის მშობლები დაჟინებით თხოულობდნენ ცხედარს და მთავრობამაც ნება დართო გადმოესვენებინათ ცხედარი პარიზში.

11 თებერვალს ნაშუადღევს 4 ს. 35 წ. არნოლის ცხედარი ჩამოასვენეს პარისში, ლიონის სადგურზე. მეორე დღეს 12 თებერვალს დანიშნული იყო დასაფლავება. ჯერ კიდევ დილის ათი საათი იყო, რომ ხალხმა იწყო დენა ლიონის სადგურისკენ. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვა და სხვა პოლიტიკური და მუშათა ორგანიზაციები. მანიფესტანტთა რიცხვი ასი ათასსჯერ ემატებოდა. დიდი ხანია, რაც საფრანგეთს არ უნახავს ასეთი მუშათა დემონსტრაცია; პარიზელები ამ დემონსტრაციას ადარებენ ლუიზმიშელის დასაფლავებას დღეს მომხდარ დემონსტრაციას.

ორ საათზე, როდესაც პროცესია დაიძრა ლიონის სადგურიდან, წინ მიუძღოდა მეთორმეტე უბნის „სოციალისტური მუსიკა“, შემდეგ თეთრ მაუდ გადაკრული ბალდახინი, თვით კუბოს გადაკრული ჰქონდა წითელი მაუდი და ზედ ერთი დაფნის შტო იდვა. ბალდახინს უკან მისდევდა არნოლის მამა და სხვა ნათესავები, შემდეგ კი ხალხი ე. ი. მანიფესტანტები, სამგლოვიარო ნიშნებით და სამგლოვიარო გალსტუხებით. სადგურიდან დაწყებული პერ-ლაშეზის სასაფლაომდე, შეუწყვეტლივ გაისმოდა რევოლიუციონური სიმღერა და ყვირილი: „გაუმარჯოს რუხსს“. გზაში წესიერება არსად დარღვეულა. სასაფლაოს მიდამოებში ე. ი. ფილიპ-ოგიუსტის ქუჩასთან პროცესიას მიემატა ათი ათასზე მეტი კაცი. პერ-ლაშეზი ნამდვილი სადღესასწაულო ქალაქს წარმოადგენდა. სუყველა მისი აივნები გაჭედილი იყო ხალხით. სასაფლაოს მახლობლად იყო ლეპინი, პარიზის პოლიციის პრეფექტი, მოძრავ ბრიგადით. ატმოსფერა გაჟღენთილი პროტესტით.

სასაფლაოს გალავანში შესვლისთანავე დაიგრიალა „ინტერნაციონალმა“ ფრანგული, იტალიურ, გერმანულ და ისპანიურ ენებზე. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა შეერთებულ სინდიკატის მდივნად ნამყოფმა **ტრუიემ.** მოგვყავს დაახლოვებით ეს სიტყვები: „...... შური ვიძიოთ სამხედრო სამართველოზე, დავიხსნათ რუხსე, რომელმაც გაბედა სამხედრო სამართველოს უკანონობას გამოქვეყნება. ნუ დაივიწყებთ დღევანდელ მანიფესტაციას, რომელიც პროტესტია ყოველნაირ უკანონობის წინააღმდეგ. ნუ აიყრით იარაღს. თუ თქვენ ანტიმილიტარისტიხართ, ამის მიზეზი ბურჟუაზიაა. ვიბრძოლოთ მანამდის, სანამდის არ მოისპობა სამხედრო სამართველო და საზოგადოთ მთელი სამხედრო ისტიტუტი; ძირს მხედრობა!“ კიდევ ბევრი სიტყვები წარმოითქვა; უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა **მარსელ სემბამ** ამნისტიის შესახებ, ხალხი დიდხანს გაიძახოდა: „გაუმარჯოს ერვეს“. ხალხი თან-და-თან იშლებოდა, მაგრამ ამ დროს ბრიგადის აფიცერმა განკარგულება გ-სცა: შეენახათ ყოველნაირი სამგლოვიარო ნიშნები და ჩამოეშვათ ბაირაღები; ამ განკარგულებას არ დაემორჩილა ხალხი და მოხდა საშინელი შეტაკება. ახლო მახლო მაღაზიები დაიხურა, ნაციონალურმა გვარდიამ ხმლები იშიშვლა, ყავახანებიდან ჯარს დაუშინეს ბოთლები და ქვები; ვინც წინააღმდეგობას უწევდა პოლიციაში წასასვლელად, საშინელის ცემით მიათრევდნენ. პოლიციელების მხრივ დაჭრილია 12. და მანიფესტანტების მხრივ კი ჯერ დაჭრილთა ნამდვილი რიცხვი არ იციან. დააპატიმრეს ორმოცი მანიფესტანტი და მათ შორის კოშონიბინის დამქირავებელ სინდიკატის მდივანი.

შ—ლი.

არეულობა სპარსეთში

(დეპეშები)

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გრეიმ სპარსეთის საქმეების გამო ილაპარაკა. იმედი გვაქვს სპარსეთისთვის ფული ვიშოვნოთო. რაც შეეხება სპარსეთის რკინის გზას, ფინანსისტებს ჯერ ვერ შეუსწავლიათ და ჯეროვნად ვერ გამოუკვლევიათ საკითხი. ბრიტანიის მთავრობამ მოიწონა პროექტი, ოღონდ ლიანდაგის სიფართოვეს ვერ დაეთანხმა. მორნარი სპარსეთის დროებითი ხაზინადარია. რუსეთ-ინგლისს ახალს არაფერს აკისრებს. გავლენის სფერო უნდა შემოფარგლოს, როგორც რუსეთმა, ისე ინგლისმა. ამ შეთანხმებისთვის არც ერ მხარეს არ უღალატნია. ჩრდილოეთ სპარსეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებას ინგლისისათვის არა უვნია რა. რუსის ჯარს ბევრი მიზეზი აქვს სპარსეთში ყოფნისა, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ რუსეთი იქ თან და თან ოკუპაციის მოხდენას არ აპირებს. საზოგადოდ ჯარის გაგზავნას არა ჰქონდა და არც ეხლა აქვს ოკუპაციის განზრახვა. განა მარტო რუსის ჯარია სპარსეთში? არა, იქ ოსმალეთის ჯარიცა სდგას. თუ რუსეთს ოსმალეთისაგან საფრთხე მოელის რამე, უფლება აქვს, როგორც უჯობს, ისე მოიქცეს. პალატა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის საწინააღმდეგო ხმებსა; რამ აიძულა რუსეთი ამნაირად მოქცეულიყო, იმას კი აღარავინა კითხულობს. ძალიან ძნელია სპარსეთის მთავრობის გამაგრება და წესიერების დამყარება. ამ მხრივ დიდი დაბრკოლებანი შეგვხვდებაო.

გრეის სიტყვის შემდეგ პონსონბის შესწორება უარჰყვეს.

თეირანი. ჩამოახრჩეს: ერთი ებრაელი—მოკვლისა და გაძარცვისათვის. სომეხი და ორი მაჰმადიანი—ძარცვისათვის.

თეირანის მყოფი ინგლისის ელჩი ბუქარესტის ელჩად დანიშნეს, ბუქარესტისა თეირნისად.

ჩინეთის რესპუბლიკა

(დეპეშები).

ჩიფუ. შანჰაიდან ბუტინფანს თაონშაი უნდა მოვიდეს ორი ათას ჯარის-კაცით. ვაკრების პრეზიდენტსა სთხოვენ, შანდუნის გუბერნატორის რეზიდენციად ჩიფუ გამოაცხადეთო. ბენდენის მცხოვრებთ რევოლიუციონერებს ომი გამოუცხადეს. მათ დასამშვიდებლად ჯარი გაჰგზავნეს.

მუკდენი. იუანშიკაიმ ლანთიანვეის დეპეშა გაუგზავნა, მანჯურიაში ბრძოლა მოსპე, თორემ ხელს გვიშლის სესხის აღებაშიო. ამბობენ, ჯაოერსუნს მანჯურიის ვიცე-კოროლობას მისცემენო.

ურგა. შაბინის მხარეში, რომელიც ხუტუხტას ქვეშევრდომებისაგან შესდგება, რეფორმა მოახდინეს. აიმაკები მოსპეს და შაბინის მცხოვრებნი რვა ხოშუნად გაჰყვეს, თვითეულ ხოშუნს ჰმეთაურობს ყველაზე გამოცდილი პირი, რომელთაც მთავრის ხარისხი უბოძეს.

ხარბინი. ფუძიანში ჩინეთის მთავრობა რევოლუციონერებს ძველებურად სასტიკად სჯის: 30 კაცი ჩამოახრჩეს. უთმო ჩინელები ხარბინს გარბიან, რადგანაც დაპატიმრებისა ეშინიანთ. ფუძიანის გაზეთი დაიკეტა, რადგანაც თანამშრომლები ხარბინს გადაასახლეს.

გაზეთებიდან.

იუანშიკაის გადადგომა.

მოსკოვში პეკინიდან დეპეშა მისულა, იუანშიკაიმ პრეზიდენტობაზე უარი განაცხადაო. ტიშეტში წესიერების აღდგენისათვის ჯარი გაჰგზავნეს. რესპუბლიკელებმა სამხედრო ბევრის მოხდა ყველასათვის სავალდებულოდ გამოაცხადეს და დეცენტრალიზაციის პრინციპი აღიარეს.

მონგოლეთი.

მონგოლეთში სეპარატისტთა მოძრაობა გაძლიერდა. მონგოლეთის მთავრობამ ჯარის გასაწრთვნელად რუსეთიდან ინსტრუქტორები დაიბარა.

იაგოს თავსებობა.

ფუძიანში პოლკოვნიკმა იაოვ კონტრ-რევოლუცია მოაწყო. მისის ბრძანებით 6 რევოლუციონერი ჩამოახრჩეს, ქალაქში შიშიანობაა. რევოლუციონერებმა ჯარის მოსვლამდე დახმარება ხუნხუზებსა სთხოვეს.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

რომი. დეპუტატთა პალატის გახსნისას ჯიოლიტიმ წაიკითხა იტალიის სუვერინიტეტის ტრიპოლისა და კირენაიკზე გავრცელების დეკრეტი და პალატას სთხოვა დეკრეტის განსახილველად კომისიის არჩევა.

ნათქვამია დეკრეტში: ყოველთვის ვცდილობდით ხმელთაშუა ზღვაზე თანასწორობის დაცვას და ვცდილობდით ოსმალეთთან დაახლოვებას, მაგრამ ჩრდილოეთ აფრიკის მიდამოებში მომხდარმა ამბავმა, მონათა ვაჭრობამ და თვით იტალიის მდგომარეობამ გვაიძულა ცივილიზატორის როლი გვეკისრნა. როდესაც თხოვნით ვერაფერს გახდა, იტალიამ თავის სასტორიო მიზნის მოსაწევად უკიდურეს ზომას,—ომს—მიჰმართაო. დეკრეტი დაპყრობილ ქვეყნებში ისლამისა და საზოგადოდ ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს იცავს. მიუხედავად სიძნელისა იტალია შესძლებს მიზნის განხორციელებასაო.

„ტრიბუნას“ ტრიპოლიდან ატყობინებენ, კანევასთან ერთი არაბი მოვიდა და წერილი მოიტანა, რეშადბეისაგან გამოგზავნილიო. წერილის შინაარს არ ამჟღავნებენ.

დეპეშები

საზღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

10 თებერვალი.

მონაზონი კანდიდა.

პარიზი. ჰლექიანთა სანატორიუმის უფროსად ნამყოფ კანდიდას წელიწად ნახევრის ციხე გადაუწყვიტეს და დააკისრეს მიღებულ ფულის დაბრუნება.

რომის სენატი.

რომი. სენატის გახსნისას ყველაზე ხნიერმა სენატორმა სალამი უძღვნა ჯარსა, ფლოტსა და მეფეს; სამხედრო და საზღვაო მინისტრმა მადლობა გადაუხადეს ჯარისა და ფლოტის სახელით. ჯიოლიტიმ სენატს მამულიშვილურ გრძნობის გამოჩენისთვის მადლობა გადაუხადა.

ხორვატელთა პროტესტი.

სერაევი. სეიმის სხდომაზე დიდი აურ-ზაური მოხდა. ხორვატიელმა ჯამონიამ პოლიციის სისასტიკე დაჰგმო. ხორვატელთა და მაჰმადიანთა კლუბის სახელით მათმა მეთაურმა სუნარიჩმა ხორვატიაში მომხდარ ამბის გამო საწინააღმდეგო რეზოლუცია წაიკითხა. რეზოლუციის გამოცხადების შემდეგ ხორვატელებმა და მაჰმადიანებმა დარბაზი დასტოვეს. საპროტესტო რეზოლუცია წაიკითხეს სერბთა კლუბისა და მაჰმადიანთა ჯგუფის წარმომადგენლებმა.

ერენტალის დასაფლავება.

ვენა. წესის აგების შემდეგ, ერენტალის ცხედარი დიდის ამბით ვაგზალში გაასვენეს. განსვენებას დაესწრო ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, მეფის ალფონსის წარმომადგენელი, მინისტრები და აუარებელი ხალხი. ერენტალის ცხედარს ბოჰემიაში, საგვარეულო აკლდამაში დაჰკრძალავენ.

გრეის განცხადება.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში უნიონისტმა ჰოლდნეიმ გრეის ჰკითხა, მართლა ჰქონდა ინგლისს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება ზანზიბარის დათმობის თაობაზეო? გრეიმ განაცხადა, დიდი ხანია ამისთანა საკითხი არ წამოუყენებიათ და რომელისამე ახალშენის დათმობა ახალშენთა მთავრობის შეუკითხავად შეუძლებელიაო.

გაფიცვა.

ლონდონი. სამთამადნო ქარხნის მუშათა საერთაშორისო კავშირი შეუთანხმდა სხვებს იმ საკითხში, რომ თუ ინგლისში გაფიცვა გამოაცხადეს, საჭიროა ზომების მიღებაო.

რუსეთი.

საბჭოს კომისიები.

პეტერბურგი. სახელმწიფოს საბჭოს განსაკუთრებითმა და საფინანსო კომისიებმა მოიწონეს უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელთა შტატები. თვითეულ კლასში მოწაფეთა რიცხვი 50 არ უნდა აღემატებოდეს.

საბჭოს განსაკუთრებითმა კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის საკრებულოთა დაარსების შესახებ.

შეკითხვის აიღება.

სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ ერთხმად მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართული შეკითხვა პერმის გუბერნატორის მიერ დეპუტატად პეტროვ მესამეს მიმართ უკანონო მოპყრობის გამო.

ადგილობრივი თვით-მმართველობათა კომისიამ სასურველად სცნო საგუბერნიო დებულებათა 38 მუხლის შეცვლა იმ სახით, რომ თვითეულ საარჩევნო კრებას უფლება ჰქონდეს სამაზრო საერობო ხმოსნებად ის პირნი აირჩიონ, რომელთაც ხმის უფლება ექნება რომელიმე ამ კრებაში. საკანონმდებლო მოსაზრება ადგილობრივი თვით-მმართველობის საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე დამყარება არა-სასურველად აღიარეს.

კბილის-ექიმთა სკოლები.

სახალხო განათლების კომისიამ სასურველად სცნო კბილის-ექიმთა მოსამზადებელი სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს დაუმორჩილოს.

ერობათა და ქალაქების დახმარება.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ძირითადი დებულებანი ერობათა და ქალაქის საშუალებათა გასაუმჯობესებელ პროექტისა, რომლის თანახმად ზოგიერთ საერობო და საქალაქო ხარჯს ხაზინა იკისრებს. გამოანგარიშებულია, რომ ამ მიზნისთვის ხაზინას 1913 და 1914 წლებში 11 მილიონზე მეტი დაეხარჯება.

10 მილიონის გადადება გამოსაკვებ თანხისათვის.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა საუწყებათაშორისო თათბირის დადგენილება ხარჯთ-აღრიცხვის წესდების მე-17 მუხლის ძალით 10 მილიონი მანეთი მიუმატონ საიმპერიო გამოსაკვებ თანხას.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე გაახლებთ სტუმართა შორის, ჩვენს სახლში **ჯარიმად შეკრებილს ჭრელი ლაპარაკისათვის მანათ-ნახევარს** *) გადასაცემად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.

პატივისცემით **სოსიკო მერკვილაძე.**

---

*) რედაქციამ მიიღო ეს ფული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარიში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარიში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8. ს. 1 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარიში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, II—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარიში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან:) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № [illegible], I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, II—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
—6 **ტ. მ. [illegible]** ([illegible]ვის, 4, ტელეფ. 880).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** ([illegible], კახეთის ქ. 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).
0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.12)

იძლევა იჯარით და იყიდება პირველი კლასის რესტორანი. პირობის გაგება შეიძლება მიხეილის ქუჩაზე, № 102
(2—236—2) **ლოლაძესთან.**

წიგნის გამომცემლობა
„კულტურა“
20 იანვრიდან დამლევ თებერვლამდე 1912 წ. მართავს ხელის-მოწერას
ნოე ჟორდანია-ს

11 ტომზე, რომელშიაც შევა ჯერ გამოუქვეყნებელი ისტორიული შრომა: **„საქართველო მე-19 საუკუნეში“,** და აგრედვე დაბეჭდილი **რჩეული მისი ნაწერები.** ეს წიგნი დაიბეჭდება ავტორის ზედამხედველობით და მასშივე გასწორდება პირველ ტომში შეპარული შეცდომები. წიგნი დაიბეჭდება კარგს ქაღალდზე, ახალი სურათით და ხელის მომწერთათვის ეღირება **1 მ. 20 კ.**

ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„იმერეთში“.** გამომცემლობას უნდა ამ წიგნის დარიგება სააღდგომო ნობათად და იმედი აქვს, რომ მას ამ სურვილის განსახორციელებლად ხელს შეუწყობენ როგორც პატივცემული საზოგადოება, ისე აგენტები. ვინც ისურვებს, მიიღოს ეს წიგნი მშვენიერს ყდაში, იმან ახლავე უნდა შეიტანოს ყდის ფასად 40 კ. იმ ადგილებში, სადაც გამომცემლობას აგენტი არ ჰყავს და თითო წიგნს დაიკვეთს, მსურველმა ფოსტის ხარჯად უნდა დაუმატოს 40 კ.

ვინც ისურვებს კვიტანციების გავრცელებას და დახმარებას, ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ქ. ტფილისი, მიხეილის პროსპექტი № 5, ვორონცოვის ძეგლთან, სტამბა „ნადეჟდა“, ქ. თავართქილაძეს.

მზადდება და მალე დაიწყება ხელის-მოწერა ნ. ნიკოლაძის სრულ თხზულებათა და ვ. ბლოსის—„საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიისა“. (1—239—1)

ტფილისი. სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.